ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 108

"6" აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24–ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის, სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 25 დეკემბრის № 5/50669 წერილის შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ქ. თბილისში, ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქ.თბილისი, ა) ბაქოს ქ. N1›- ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართობი, საკადასტრო კოდი N01.13.08.003.055, ბ)ზესტაფონის ქ.N22-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართობი, საკადასტრო კოდი N01.12.12.011.010, გ) დიდი დიღომი, პეტრიწის ქ. კორპუს 1›-ში მდებარე არასაცხოვრებელი ფართობი, საკადასტრო კოდი N01.10.06.006.082) იძულებით გადაადგილებულ პირთა ბინებით დაკმაყოფილების მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. N6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი